SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | იანვარი-თებერვალი | 2021 | №6

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / მილოცვები / ქალაქის ამბები

ახალი აღჭურვილობისა და შახტის ტექნიკური განახლებისთვის 9 623 273 ლარი დაიხარჯა

2 | თამბაქოს მოწევაზე სანქციები განისაზღვრა!

6 | რევაზ სტურუა - პოეტი, სამთო საქმის აღიარებული მკვლევარი და თვალსაჩინო მეცნიერი

3 | ავთანდილ ბოჭორიშვილი: „მზის შუქს იკლებ რომ სხვას სითბო და ენერგია მისცე“

4 | თანამშრომლები “მინდელის” შახტის სატაბელო განყოფილებიდან

ახალი აღჭურვილობისა და შახტის ტექნიკური განახლებისთვის 9 623 273 ლარი დაიხარჯა

პანდემიის საპრევენციო სამუშაოების პარალელურად, „საქნახშირში“ სარეაბილიტაციო და განახლების სამუშაოები უცვლელ რეჟიმში მიმდინარეობს. 2021 წლის მარტიდან მზად იქნება მე-10 ველი. 19-ე ველი კი აპრილის ბოლოს, ჩინეთიდან ახალი მანქანა-მოწყობილობების ჩამოსვლის შემდეგ დასრულდება.

საექსპლუატაციოდ აღდგენილია ელმავლების ნაწილი. გარკვეული ნაწილის სარემონტოდ კი უკვე შეძენილია სათადარიგო ნაწილები. გარდა ამისა, შემოტანილია 10 აკუმულატორული ბატარეა, რაც ხელს შეუწყობს საწარმოს ყველა ელმავლის ამუშავებას. წმენდითი სანგრევების ექსპლუატაციაში გაშვებისთვის, მთელი რიგი მანქანა-მოწყობილობების შესაძენად თანხა უკვე გადახდილია. მათ შორის არის 12 სახვეტებიანი კონვეიერი და ამ კონვეიერების კაპიტალური რემონტისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილები.

მე-10 და 19-ე უბნებისთვის, ასევე 350 ჰორიზონტზე, ახალი საველე გვირაბის გასაყვანად შეძენილია საკაბელო მეურნეობა. პროდუქცია უკრაინიდან ძალიან მალე ჩამოვა. ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაციაში გასაშვებად შეძენილია მაგნიტური გამშვებებიც. 10-ე და 19-ე ველებისთვის შემოტანილია ავტომატური საგაზო დაცვის აპარატურა და შეძენილია განგაზიანებისა და განიავებისათვის საჭირო მოწყობილობები.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 კილომეტრზე მეტ სალიანდაგო მეურნეობას. ანალოგიური პროგრამა, იგივე მოცულობით, 2021 წლისთვისაც არის დაგეგმილი (ფინანსები უკვე გამოყოფილია). მე-10 და 19-ე ველებისთვის, ასევე 350 ჰორიზონტის საველე გვირაბის გასაყვანად 3 კომპრესორია შეძენილი.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა სასკიპე და დამხმარე ჭაურების კაპიტალური რემონტისთვის. გათვალისწინებულია ყველა ის შენიშვნა, რაც სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის საგენტომ მისცა კომპანიას. აღნიშნულ გვირაბებში გრძელდება გამბრჯენების გამოცვლა და ასევე მიმდინარეობს გამყოლების წესრიგში მოყვანა. გარდა ამისა, დამხმარე ჭაურში მთლიანად გარემონტდა და გამოიცვალა სათადარიგო კიბეები. „ძიძიგურის“ შახტზე დამონტაჟებულია სრულიად ახალი ლიფტი.

„მინდელის“ სახელობის შახტის ზედაპირულ კომპლექსზე გამოიცვალა ამორტიზირებული გორგოლაჭი და დახრილ გალერეაში მთლიანად გამოიცვალა კონვეიერის ლენტი. ავტოტრანსპორტის განახლებისთვის მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩაიდო ავტოფარეხში.

2020 წლის მეორე ნახევარში კომპანიამ სპეც ტანსაცმლის 1100 კომპლექტი და 500 დათბილული ქურთუკი შეიძინა (ზამთრის პერიოდისთვის, შესაბამისი პროფესიებისთვის), თებერვლის ბოლოს კი რეზინის ჩექმები დარიგდება.

ამ ეტაპზე, რემონტისთვის და შახტის ტექნიკური განახლებისთვის საჭირო ახალი აღჭურვილობისთვის 9 623 273 ლარია დახარჯული.

თებერვალში გამოვლენილი დარღვევები

თანამშრომლების მხრიდან უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო, თებერვალში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ინციდენტს. პირველი შემთხვევა ელექტრო დეპოს ელმავალზე ბატარეის მიერათებისას მოხდა. ელექტრო დეპოს ზეინკალმა არ დაიცვა უსაფრთხოების ზომები. სიჩქარისა და დაუდევრობის გამო, არ დააკვირდა როგორ იყო მოთავსებული მცველი ბუდეში. ამის გამო ჩამრთველი გადმოცურდა და შეერთებისას მოკლე ჩართვა მოხდა. „საქნახშირმა“ თანამშრომელს მკაცრი გაფრთხილება მისცა, განმეორების შემთხვევაში მკაცრი ზომები გატარდება.

მეორე შემთხვევა რელსებიდან გადასული ელმავლის გასწორებისას მოხდა. ამწევი საშუალებით ელმავლის რელსებზე დაყენებისას, მემანქანემ წინა სავალი ბორბლები ფიცრით დაიფიქსირა (რომ არ გაცურებულიყო). როდესაც ელმავალი „ტალით“ ასწიეს, ელმავლის მემანქანე სამუხრუჭე ფიცრის გამოსაღებად მივიდა, რა დროსაც „ტალმა“ ელმავალი მოქაჩა, მეორე თავი რელსებს გაუსწორა, პირველი თავი კი ახლოს მივიდა სამაგრთან. ამ მომენტში მუშა კედელთან ახლოს იმყოფებოდა და ელმავალსა და სამაგრს შორის მოყვა. მემანქანემ მსუბუქი დაზიანება მიიღო და მას სასწრაფოდ გაუწიეს სამედიცინო დახმარება. სამუხრუჭე ფიცრის გამოღება რელსზე ელმავალის ოთხივე ბორბლით დასამდე არ შეიძლება. უსაფრთხოების წესები კი ყველასთვის ცნობილია და თანამშრომლების მხრიდან მათი უგულებელყოფა დაუშვებელია.

მესამე შემთხვევა გასათბობი ღუმელის ჩართულ მდგომარეობაში დატოვებამ გამოიწვია. მელულე-მესახელურეს და გამგორეს მიწისზედა კომპლექსის მოსაცდელში ღუმელი დარჩათ ჩართული, რის გამოც მცირე ხანძარი გაჩნდა. შედეგად მოსაცდელი და გადამყირავებლის ხის სადგომი დაიწვა. საბედნიეროდ არავინ დაშავებულა.

კომპანია „საქნახშირმა“ თანამშრომლებს მკაცრი გაფრთხილება მისცა და კიდევ ერთხელ მოუწოდა, რომ არ დაარღვიონ უსაფრთხოების ზომები და საფრთხე არ შეუქმნან საკუთარ და სხვების სიცოცხლეს.

თამბაქოს მოწევაზე სანქციები განისაზღვრა!

საქართველოს კანონმდებლობისა და „საქნახშირის“ შინაგანაწესის გათვალისწინებით, საწარმოს ტერიტორიაზე, მიწისზედა და მიწისქვეშა კომპლექსში, თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებული სანქციები განისაზღვრა. 2021 წელს, თამბაქოსა და სანთებელას შახტში შეტანასთან დაკავშირებით სამჯერ მოხდა „საქნახშირის“ მიწისქვეშა პერსონალის შემოწმება. გამოვლინდა ორი დარღვევა.

შახტში (მიწისქვეშა კომპლექსში) სიგარეტის მოხმარება ხელფასის 50%-ის დაქვითვას გამოიწვევს, იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში კი დასაქმებულთან შრომის ურთიერთობის შეწყვეტა მოხდება.

სხვა შემთხვევებში კი დადგენილია შედარებით ნაკლები ოდენობის სანქცია, რომელიც განმეორების შემთხვევებში გაიზრდება.

თამბაქოს მოწევა, განსაკუთრებით მიწისქვეშა კომპლექსში, დიდ საფრთხეს უქმნის მწეველს და მის გარშემომყოფებს. ამიტომ, პერსონალის შემოწმებები სისტემატურად ჩატარდება.

გეგმის შეუსრულებლობის გამომწვევ მიზეზებს სპეციალური კომისია იკვლევს

11 თებერვალს, N4 უბნის თანამშრომლებმა დაბალი ანაზღაურება გააპროტესტეს, რაც მათ მიერ გეგმის შეუსრულებლობით იყო გამოწვეული. საბოლოოდ, „საქნახშირის“ ადმინისტრაციასა და N4 მომპოვებელი უბნის თანამშრომლებს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. 12 თებერვალს მეშახტეებთან გამართული თათბირის შედეგად გადაწყდა, რომ ისინი გეგმის 100%-ით შესრულების შესაბამის ხელფასს მიიღებენ, მომდევნო თვეების განმავლობაში კი, გეგმის გარდა დამატებით 1340.31 ტონა ქვა-ნახშირს მოიპოვებენ.

N4 უბნის თანამშრომლების მიერ გეგმის შეუსრულებლობის გამომწვევ მიზეზებს სპეციალური კომისია იკვლევს და შედეგები მალე გახდება ცნობილი.

ავთანდილ ბოჭორიშვილი:
„მგზის შუქს იკლებ რომ სხვას სითბო და ენერგია მისცე“

ავთანდილ ბოჭორიშვილის სამთო დარგით დაინტერესება ძალიან ბუნებრივი იყო, რადგან ის ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, 1954 წლის 3 მარტს, მეშახტეების ქალაქში დაიბადა... მამა 60-იან წლებში ელექტრო საამქროს უფროსი იყო, ბაბუა „ორჯონიკიძის“ შახტის მთავარი ბუღალტერი. თავიდან, გადაწყვიტა ბედი სხვა პროფესიაში, კერძოდ, არქიტექტურაში ეცადა. თუმცა, საბოლოოდ ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ინჟინერიის ფაკულტეტზე ჩააბარა. ბატონი ავთანდილი რამდენიმე სალექციო კურსის და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. უნივერსიტეტში მიღწეული წარმატების მიუხედავად სამეცნიერო საქმიანობაზე უარი თქვა. მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა და ცოდნა, გამოცდილება და ნიჭი შახტას მიუძღვნა. ბატონი ავთანდილი ღირსების ორდენოსანია და მისი ოჯახი „საქართველოს საპატიო ოჯახების“ წიგნშია შეყვანილი.

ავთანდილ ბოჭორიშვილი: „ყველაფერი მემარჯვებოდა - ხატვა, ძერწვა, კერვა. ხაზვაში წარჩნებული ვიყავი, ლითონზე რამდენიმე ჭედური ნახატი მაქვს გაკეთებული, სუვენირებსაც ვაკეთებდი. მინდოდა არქიტექტურაზე ჩამებარებინა. მამას არ უნდოდა შახტში მემუშავა. ჩემს დროს სამედიცინო, იურიდიული და არქიტექტურა იყო პოპულარული. თუმცა, საბოლოოდ მაინც სამთო მიმართულებაზე ჩავაბარე.

თბილისში სწავლის პერიოდში, ჩემს საამაყო პროფესორებთან, კ.ბეთანელთან და ბ.დემეტრაძესთან ერთად, საღამოს დასწრებულებს ვუკითხავდი ლექციას. პროფესორებთან ერთად ვმუშაობდი წიგნზე „ქანთა მასივის მდგომარეობის მართვა.“ ინსტიტუტში რაც კი კედლებზე გამოკიდებული ნახაზები იყო, 80% სულ ჩემი დახაზული გახლდათ. 5 წლის განმავლობაში, პროფესორებთან ერთად, დიპლომების დაცვის კომისიის თავმჯდომარეც ვიყავი.

მიღწეული წარმატების მიუხედავად, საბოლოოდ მაინც ტყიბულს დაუბრუნდით...

1981 წელს, 56 წლის ასაკში მამა გარდამეცვალა. V კურსზე ვიყავი, ამ დროს უკვე მყავდა მეუღლე, 2 წლის ქალიშვილი და დედა. ინსტიტუტი დავამთავრე და ტყიბულში ჩამოვედი. მუშაობა N1 ნახშირმომპოვებელ უბანში, ცვლის უფროსად დავიწყე. ამის შემდეგ აქ სამთო საქმეების ინჟინრად ვმუშაობდი (შემდეგ მთავარ ტექნოლოგად, მთავარი ინჟინრის მოადგილედ, მთავარ ინჟინრად და დეპარტამენტ „საქნახშირში“ წარმოების დირექტორად). 8 წლის განმავლობაში გენერალური დირექტორი ვიყავი. ამჟამად დირექტორის მოადგილე ვარ შრომის უსაფრთხოების დარგში. რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობაა, თუმცა ამის გარეშე ვეღარ წარმომიდგენია. სამსახურში დილის 5:30 საათზე მოვდივარ, 5:45-ზე თათბირი იწყება. დილიდან კავშირზე ვარ დისპეჩერთან, ვარკვევ რაიმე შეფერხება ხომ არ გვაქვს, რამდენი იყო მოპოვება, რა იყო ხელისშემშლელი პირობები... შემდეგ ვიწყებთ თათბირს, ყველა უბნის უფროსი ყვება რა პრობლემაა, ხდება შესწორებები და განრიგების გაშვება.

შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის მთავარი პრიორიტეტი დღეს უსაფრთხოებაზე ზრუნვაა?

დღეს, ჩვენი პრიორიტეტი უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაა. გასულ წლებში ძალიან ბევრი სასახელო ადამიანი დაკარგა შახტამ და ეს თითოეული ჩვენგანის უდიდესი ტკივილია. გვახსოვს და მუდამ გვემახსოვრება ჩვენი ბიჭები. საამაყოა ის ფაქტი, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მსგავს პრეცედენტს ადგილი არ ჰქონია. უსაფრთხოების მიმართულებით ბევრი ცვლილება განხორციელდა და ხორციელდება. განახლებულია ცენტრალური ავტომატური საგაზო სისტემა და თავისებურ შედეგს იძლევა. ყველაფერს ვხედავთ - სად არის CO, მეთანი. შიგნით თუ გამოეპარა ვინმეს აქ ჩანს. „საქნახშირმა“ დიდი შრომა გასწია ისეთი სისტემის დასანერგადაც, რომლის საშუალებითაც მიწის ქვეშ ადამიანების გადაადგილებას სრულიად ვაკონტროლებთ. ჩიპებით მოწმდება გამოსულია თუ არა პიროვნება უსაფრთხო მაძილზე და თუ არ არის გამოსული დისპეჩერი არ აძლევს აფეთქების უფლებას. ამ მოწყობილობის დანერგვა საკმაოდ დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ეს ახალი ტექნოლოგიაა და ადრე ამის ფუფუნება არ იყო. ამ და სხვა ტექნოლოგიებმა ერთად განაპირობა უსაფრთხოების მაღალი ხარისხი. მადლობა ამ კომპანიას, რომ დღეს გამოწვევა ''უსაფრთხოება'' შეგვიძლია ვთქვათ რომ დაძლეულია.

როგორ ფიქრობთ, რამდენად დაინტერესებულია ახალი თაობა სამთო მიმართულებით?

ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა და მათთვის გამოცდილების გაზიარება კომპანიის კიდევ ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. პირადად მე, ახალგაზრდებს ვუზიარებ ჩემს მრავალწლიან გამოცდილებას, რათა აიმაღლონ კვალიფიკაცია და პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. გარდა ამისა, გზადაგზა სტანდარტების და რეგლამენტების კითხვას ვავალებ და ვცდილობ, გავუზიარო ყველაფერი რაც ვიცი. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ შრომისმოყვარე და ნიჭიერ მომავალ სამთოელებთან მაქვს კონტაქტი. მე ეს ძალიან მახარებს.

ბატონო ავთანდილ, როგორი უნდა იყოს ნამდვილი სამთოელი?

შახტა მძიმე და საშიში ობიექტების კატეგორიას მიეკუთვნება. სამთო მასასთან გვიწევს შერკინება, ამიტომ სამთოელს ძლიერი გული უნდა ჰქონდეს! სამთოელობა სხვანაირი დარგია, 10 წლით დამდურებულები რომ იყვნენ და ერთს საფრთხე შეემქნას, მეორე თავს გაწირავს და არ დატოვებს. ვაჟკაცური დარგია, მზის შუქს იკლებ შენ რომ სხვას სითბო და ენერგია მისცე.

ყველა მეშახტეს ვუსურვებ, რომ თავისი ხელით დატოვებული სატაბელო ნომერი თავისივე ხელით აეღოს და თავისი დაჭუჭყიანებული სხეული თავისი ხელით დაებანოს, უმნიშვნელო ტრავმაც არ მიეღოთ.

თანამშრომლები “მინდელის” სახელობის შახტის სატაბელო განყოფილებიდან

ამჯერად „მინდელის“ შახტის სატაბელო განყოფილების თანამშრომლებზე მოგიყვებით. 12 თანამშრომლიდან 11 ქალბატონია და 1 მამაკაცი. მათი საქმე საკმაოდ შრომატევადია - ისინი დღე-ღამეში 12 საათიანი სამუშაო გრაფიკით მუშაობენ. მეშახტეს შახტში და მის ზედაპირზე სამუშაოდ წასვლა სატაბელოში რეგისტრაციის გავლის შემდეგ შეუძლია, მათ აღიცხვაზე და სამუშაო ინვენტარზე პასუხისმგებელი სწორედ შახტის სატაბელო განყოფილებაა.

შახტში დასაქმებულ ქალბატონებს სატაბელო განყოფილებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, ისინი საქმის პროფესიონალები და ერთგული თანამშრომლები არიან. რამდენიმეს ოჯახის წევრიც შახტშია დასაქმებული (მეუღლე, შვილი, მამამთილი). მათი ოჯახების ძირითადი შემოსვლის წყარო „საქნახშირში“ მიღებული ჰონორარია.

ქალბატონები აღნიშნავენ, რომ მათი სამუშაო პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა რის გამოც მადლობას უხდიან შახტის ხელმძვანელობას და განსაკუთრებით „საქნახშირის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, მიხაილ სოცკის. „პანდემიის პერიოდში, როდესაც ყველგან შეწყდა სამუშაო პროცესი და ყველაფერი დაიხურა, შახტა მუშაობდა და დღემდე გამართულად მუშაობს. დასაქმებულები შეუფერხებლად იღებენ ხელფასს და ეს შახტის ხელმძღვანელობის დამსახურებაა“ - ამბობენ სატაბელო განყოფილებაში.

ცირა ცნობილაძემ მინდელის სახელობის შახტზე, სატაბელოში მუშაობა 40 წლის წინ დაიწყო და დღემდე სატაბელოს უფროსი ოპერატორია. ქუთაისის სამთო-სამშენებლო ტექნიკუმი სამთო მშენებლის სპეციალობით დაამთავრა.

მეუღლე, გიზო გუბელაძე წლების მანძილზე შახტში, უბნის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. ის 2017 წლის 9 მაისს მომხდარი ავარიის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა. ჰყავს ორი ვაჟი, მათგან ერთი, ფირან გუბელიძე შახტში, საგაზო დაცვის განყოფილაშია დასაქმებული.

ლია გორდეზიანმა „საქნახშირში“ მუშაობა 2006 წელს, ატეესში, კომუდატორად დაიწყო, სადაც 1 წელი იმუშავა. შემდეგ ეს სამსახური გაუქმდა და სამუშაოდ „მინდელის“ შახტის სატაბელო განყოფილებაში, სატაბელოს ოპერატორად გადავიდა და დღემდე ამ პოზიციაზე მუშაობს. ქალბატონი ლია პროფესიით კვების ტექნოლოგია, დამთავრებული აქვს ქუთაისის გემო-კვების ლაბორატორიის ტექნიკუმი. „სატაბელოს ოპერატორობა საკმაოდ შრომატევადი სამსახურია - გვიწევს მეშახტეებისთვის თითოეული დღის წიგნში გატარება. სანათებს, მაშველებს, ინტერფერონებს, ინვენტარს ვაწვდით. თუ ვინმე შემოაღებს სატაბელოს კარს ჩვენ უნდა გავცეთ ყველას პასუხი. აქედან შახტში ყველას ჩვენ ვაცილებთ, შახტიდან ამოსულებსაც ჩვენ ვხვდებით. ამიტომ, თითქმის ყველა მეშახტეს სახელით, გვარით და ნომრებით ვცნობთ.

ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის შახტა ძალიან მნიშვნელოვანია. მეუღლე, იაგო გოგელაშვილიც მეშახტეა, რემონტის უბანზე მუშაობს. შახტზეა დამოკიდებული ჩემი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა. მყავს 2 შვილი, ბიჭი სტუდენტია, გოგომ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და დასაქმებულია.

მანანა დაღუნდარიძემ ქუთაისის კოოპერაციული ტექნიკუმი დაამთავრა, ბუღალტრის სპეციალობით. „მინდელის“ შახტის სატაბელოში მუშაობა 2017 წლის ბოლოს დაიწყო და დღემდე სატაბელოს ოპერატორად მუშაობს. მეუღლე, ბიქტორ დაღუნდარიძე, წლების განმავლობაში შახტში ათისთავად, ცვლის უფროსად მუშაობდა. „მინდელის“ შახტზე 2017 წლის 9 მაისს მომხდარი უბედური შემთხვეის დროს იგი ტრაგიკულად დაიღუპა. ჰყავს ორი შვილი და სამი შვილიშვილი.



„ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალიან მიმძიმდა შახტში მოსვლა და მუშაობის დაწყება. თვალცრემლიანი შემოვდიოდი და გავდიოდი. მაგრამ, თანამშრომელთა თანაგრძნობით და ხელშეწყობით, ნელ-ნელა შევეჩვიე არსებულ რეალობას და სამსახურს. ასევე, დიდი სითბო და პატივისცემა ვიგრძენი ჩემი მეუღლის თანამშრომლების და შახტის სამთო მუშების მხრიდან. ისინი ყოველთვის სიყვარულით იხსენებენ ჩემს მეუღლეს, რომელმაც შახტში 34 წელი იმსახურა.“

მელანია კუბლაშვილმა ტყიბულის ინდუსტრიული ტექნიკუმი ელექტროობის სპეციალობით დაამთავრა. სამთო სფეროში მუშაობა 1989 წელს, შახტის პროფკავშირებში დაიწყო. 2 წლის შემდეგ კი სამუშაოდ “მინდელის” შახტის სატაბელოში გადავიდა და 1991 წლიდან დღემდე სატაბელოს ოპერატორად მუშაობს.

მელანია მეშახტის ოჯახიდან არის - მამამთილი, ენური კუბლაშვილი შახტის მთავარი მექანიკოსი იყო. მეუღლე, გოჩა კუბლაშვილი შახტის მთავარ ინჟინრად და დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. მას შემდეგ რაც საწარმოო ტრავმა მიიღო, აღარ მუშაობს. ჰყავს 1 შვილი, 19 წლის ლუკა კუბლაშვილი, რომელმაც შახტში მუშაობა ახლახან დაიწყო.

ლია უთმელიძემ „მინდელის“ შახტის სატაბელო განყოფილებაში მუშაობა 2008 წელს, სატაბელოს ოპერატორად დაიწყო და ამ პოზიციაზე 3 წელი იმუშავა. სატაბელოში კომპიუტერული სისტემის დანერგვის შემდეგ, სატაბელოს პროგრამული უზრუნველყოფის ოპერატორად დაინიშნა და დღემდე ამ პოზიციაზე მუშობას.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ტყიბულის დამოუკიდებელ ინსტიტუტ „გელათში“ გააგრძელა, რომელიც დაწყებითი განათლების პედაგოგიკის სპეციალობით დაამთავრა. ჰყავს მეუღლე და 1 შვილი. მეუღლე, თემური ქარქაშაძე, წარმოების უფროსის პოზიციაზე, ქვა-ნახშირის გამამადიდრებელ ფაბრიკაშია დასაქმებული.

დათო ცირეკიძემ ტყიბულის პროფესიული სასწავლებელი ელექტრო ზეინკლის სპეციალობთ დაამთავრა. ჰყავს მეუღლე ნატო ფანჩულიძე და ქალ-ვაჟი. შახტში მუშაობა 1983 წელს დაიწყო, მალევე სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. ჯარიდან დაბრუნებულმა ისევ შახტში გააგრძელა მუშაობა, სადაც რამდენიმე წელი მუშაობდა. ბოლოს „მინდელის“ შახტში, 2006 წელს, ელექტრო საამქროში მივიდა სამუშაოდ და დღემდე ელექტრო ზეინკლად მუშაობს. 3 წელია შეთავსებით სატაბელოს თანამშრომელიცაა (როგორც ელექტრო ზეინკალი), არემონტებს მეშახტის ფანრებს, თვითმაშველებს, ინტერფერონებს. მისი მოვალეობაა ელექტრო მოწყობილობების შეკეთება.

ხათუნა ჯიშიაშვილმა “საქნახშირში” მუშაობა 2006 წელს დაიწყო და სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა. 2017 წლიდან დღემდე სატაბელო სამსახურის ოპერატორია. მეუღლე, თენგო ჯიშიაშვილი შახტზე დაცვის სამსახურში ცვლის უფროსის პოზიციაზე მუშაობს. ჰყავს 2 შვილი და 1 შვილიშვილი. მათი ოჯახის შემოსავალი შახტაზე მიღებული ჰონორარია.

ირმა გოგილიძემ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტი და ტყიბულის სამთო ინსტიტუტი გამამდიდრებელის სპეციალობით დაამთავრა. 7 წელია „მინდელის“ შახტში მუშაობს სატაბელოს ოპერატორად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ირა სოფრომაძემ ტყიბულის მეშვიდე საშუალო სკოლა დაამთავრა. 2012 წელს მუშაობა მინდელის სახელობის შახტის სატაბელო განყოფილებაში დაიწყო და ღემდე აქ მუშაობს, სატაბელოს ოპერატორად. ჰყავს მეუღლე, 3 შვილი და 1 შვილიშვილი.

მეუღლე, ჭაბუკი სოფრომაძე “მინდელის “ შახტში, ოსტატ ამფეთქებლად მუშაობს. ამავე შახტში მუშაობს შვილი, მიხეილ სოფრომაძე, ის ტრანსპორტის უბანში ელმავლის მემანქანეა.

თამარ ბრეგაძე ტყიბულში, მეშახტის ოჯახში გაიზარდა. დამთავრებული აქვს ქუთაისის ეროვნული უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ეკონომისტის კვალიფიკაციით.

თამარმა „მინდელის“ შახტის სატაბელოში მუშაობა 2013 წელს დაიწყო და დღემდე სატაბელოს უფროს ოპერატორად მუშაობს. მანამდე, ექვსი თვე ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურში მუშაობდა.

იზო აბუთიძე "მინდელის" სახელობის შახტის სატაბელო განყოფილების უფროსია. მის დაქვემდებარებაშია „ძიძიგურის" შახტის სატაბელო განყოფილება. ქალბატონი იზო ამბროლაურის რაიონში დაიბადა. დაამთავრა ტყიბულის ინდუსტრიული ტექნიკუმი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (გეპეის) ტყიბულის ფილიალი, სამთო მშნებელ - ინჟინრის კვალიფიკაციით.

შახტში მუშაობა 1981 წელს, კურიერის პოზიციაზე დაიწყო. შემდეგ შახტის ზედაპირულ კომპლექსზე გადავიდა, ამის შემდეგ კი სამთო ოსტატად მუშაობდა. ერთი წელი სამარქშნეიდერო განყოფილებაში მუშაობდა სამთო მუშად და შახტშიც ჩადიოდა სამუშაოდ. 1985 წელს მუშაობა „მინდელის" შახტის სატაბელო განყოფილებაში დაიწყო და დღემდე სატაბელოს უფროსია. უკვე 40 წელია საყვარელ საქმეს აკეთებს:

"წელებია მინდელის შახტის სატაბელო სამსახურის უფროსი ვარ და მის გამართულ საქმიანობაზე ვარ პასუხისმგებელი. როგორც კი მეშახტე შემოდის სატაბელოში, მისი აღრიცხვით და შახტაში ჩასვლით დაწყებული, იქიდან ამოსვლით დამთავრებული, ყველაფერს ვაკონტროლებთ. ასევე აღვრიცხავთ ზედაპირულ სამუშაოზე დასაქმებულებს. ვაწვდით საჭირო ინვენტარს. ჩვენ გარეშე მეშახტე ვერც შახტში წავა და ვერც ზედაპირულ სამუშაებზე.

მყავს მეუღლე, ლევან გელბაქიძე. ადრე „ძიძიგურის" შახტზე მუშაობდა, შემდეგ „მინდელის" შახტზე დირექტორის მოადგილედ საყოფაცხოვრებო დარგში. შემდეგ დაინიშნა ზედეპირულ კომპლექსზე და დღემდე იქ მუშაობს უბნის უფროსად. მყავს 2 გოგონა, ორივემ უმაღლესი სასწავლებელი, მაგისტრატურა დაამთავრა, ორივე დაოჯახებულია და თბილისში ცხოვრობს. თავს ბედნიერად ვგრძნობ - კარგი ოჯახი, მეუღლე და შვილები მყავს. კარგი სამსახური მაქვს და კარგი თანამშრომლები მყავს.

ძალიან კარგი ხალხი მყავდა ირგვლივ, კარგი უფროსები, არავისზე ცუდის თქმა არ შემიძლია. წლების მანძილზე, ძალიან ბევრ ადამიანთან მიწევდა საქმიანი ურთიერთობა, მეგობრები და ოჯახის ახლობლები გახდნენ ჩემთვის. მტკივნეულია შახტაზე მომხდარი უბედური შემთხვევების გახსნება, ყველა ავარიამ ძალიან იმოქმედა ჩემზე, თითქოსდა ჩემს თავზე გადაირა ყველაფერმა. ეს ჩემთვის მოუშუშებელი ტკივილია.

> *"შახტა ჩემი მეორე ოჯახია, ჩემი მამოძრავებელი ძალაო რომ იტყვიან, ეგ არის. თითქოს, აქ დავიბადე და გავიზარდე. უბრალოდ, ამით ვცოცხლობ და ამით ვცხოვრობ. ეს ბიჭები ჩემი შვილებივით და ჩემი ძმებივით არიან.*

შახტა რომ არ იყოს, ტყიბული არ იარსებებს. შეიძლება იარსებოს, მაგრამ ქალაქი დაიცლება. ტყიბული შახტის გარეშე არაფერი არაა. ამიტომ, დიდი მადლობა შახტის ხელმძღვანელობას რომ იყიდა შახტა და იმედი გვაქვს, მომავალშიც გამართულად იმუშავებს რომ ტყიბულმა იარსებოს.

ჩემი სახელით, სატაბელოს სახელით მადლობას ვუხდით შახტის ხელმძღვანელობას, დიდი მადლობა ბატონ მიხაილ სოცკის - ის რომ არ ყოფილიყო, ჩვენ არც ერთი არ ვიმუშავებდით, შახტა დახურული იქნებოდა. ყველაფერი დაიხურა, ყველაფერი გაჩერდა პანდემიის დროს, ბატონმა სოცკიმ ჩვენ გვამუშავა და უხელფასოდაც არ დაგვტოვა."

მარინა ქასრაშვილი განათლებით სამთო ინჟინერ-გამამდიდრებლია. მუშობა 1982 წლის 1 აგვისტოს, მაშინდელი "ორჯონიკიძის" სახელობის შახტზე, გამამდიდრებელი ფაბრიკის ცვლის ინჟინრად დაიწყო. ქვანახშირის გამამდირებელ ფაბრიკაში ცვლის ინჟინრად და მთავარ ინჟინრად წლების მანძილზე მუშაობდა. შემდეგ, ნახშირის ხარისხის ინსპექციაში და ნახშირის გასაღების სისტემაში იყო პირველი კატეგორიის ინჟინერი. 1997 წელს შემცირებაში მოხვდა და მალევე დაიწყო მუშობა ტყიბულის N4 საჯარო სკოლაში, ხაზვის მასწავლებლად.

2010 წლიდან სამუშაოდ „საქნახშირში" დაბრუნდა და „მინდელის" სახელობის შახტზე სალამპე-სატაბელო განყოფილებაში, ოპერატორის პოზიციაზე დასაქმდა, სადაც დღემდე მუშაობს. გარდა ამისა, ქალბატონი მარინა ტყიბულის სამთო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (2011 წლიდან, გახსნის დღიდან მუშაობს), გამამდიდრებელი ჯგუფის ხელმძღვანელია, ამზადებს მყარი წიაღისეულის გამდიდრების სპეციალისტებს.

მეუღლე, ელვარდი ცირეკიძე ტყიბულის სამთო მაშველის სამსახურის მეთაურია, ჰყავს 2 შვილი და 4 შვილიშვილი. შვილი, გიორგი ცირეკიძე „მინდელის" სახელობის შახტში მექანიკოსად მუშაობს.

„ტყიბულისთის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შახტას. რომ არა ეს შახტები, არ ვიცი რა გვეშველებოდა. განსაკუთრებით დასაფასებელია ახლანდელი ხელმძღვანელობა. ჩემი

შახტში საქმიანობის მანძილზე არ მახსოვს ასეთი დაფასებული რომ ყოფილიყოს მუშის შრომა, ჩვენი შრომა. ახლა ჩვენ არც ერთი წუთი აუნაზღაურებელი არ გვაქვს. ადრე, რამდენიც არ უნდა გვემუშავა, იმ ზედმეტ დღეს არავინ არ გვინაზღაურებდა. მაგალითად, გრაფიკით თუ გვიწევდა 21 სამუშაო დღე და 28 დღეს ვიმუშავებდით, მაინც 21 დღე გვეწერებოდა. ესენი რომ მოვიდნენ და გაერკვნენ სიტუაციაში, იმ დღიდან ჩვენ არც ერთი წუთი დაგვკლებია. ამიტომ, ყოველთვის განსაზღვრულ ხელფასზე მეტს ვიღებთ. ხელფასზე იმ ზედმეტი დღეების დანამატი გვაქვს. ასევე, ბევრს ნიშნავს, რომ სასადილოში უფასო კვება გვაქვს, სადაც კარგი და გემრიელი კერძებია.

შახტზე დღეს უსაფრთხოებაც ბევრად უფრო გაძლიერებულია. ყველანაირად ცდილობენ, რომ შახტში უსაფრთხოება დაცული იყოს, ცოტა ჩვენც გვმართებს მუშა-მომსახურეებს დაკვირვება. მშვიდობას ვუსურვებ „საქნახშირს" და მთელს საქართველოს, მშვიდობიანი დღეები გვქონდეს. ვისურვებდი, რომ უდანაკარგო, უსისხლო ნახშირი მოგვეპოვებინოს."

მილოცვები

ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი შალამბერიძე იუბილარია! „საქნახშირი" ულოცავს მეუფე გიორგის 81 წლის იუბილეს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

ტყიბულის, თერჯოლის, გესტაფონისა და ბაღდათის მაჟორიტარ დეპუტატს, ბეჭან ნაქაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერებას, წინსვლას და ჯანმრთელობას ვუსურვებთ.

ილია სულამანიძე

ბრინჯაოს მედლის მფლობელია!

ილია სულამანიძე ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. თელ-ავივის გრან სლემის ფინალურ ბლოკში 100 კგ წონით კატეგორიაში ილია და ონისე სანებლიძე ერთმანეთს მესამე ადგილისთვის შეხვდნენ. ფინალის გამარჯვებული 19 წლის ტყიბულელი ძიუდოისტი ილია სულამანიძე გახდა.

ილიასთვის ეს სადებიუტო ტურნირი იყო უფროსებს შორის.

რევაზ სტურუა - პოეტი, სამთო საქმის აღიარებული მკვლევარი და თვალსაჩინო მეცნიერი

სამთო სფერო აღიარებულ მკვლევარს, თვალსაჩინო მეცნიერს, პროფესორ რევაზ სტურუას გამოემშვიდობა. რევაზ სტურუას სამეცნიერო-საინჟინრო მოღვაწეობის სფერო სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება–მინერალური პროცესები გახლდათ. იგი სამთო დარგის ცნობილიო სპეციალისტი იყო და სამეცნიერო მიმართულებებს ხელმძღვანელობდა. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა შავი და ფერადი ლითონების მადნების გამდიდრების ტექნოლოგიებთან ინტენსიური ენერგეტიკული პროცესების კომბინირების მეცნიერული საფუძვლები, რაც პრაქტიკულად ახალი მაღალეფექტური ტექნოლოგიების შექმნაში გამოიხატა.

რევაზ სტურუას ხელმძღვანელობით ჩატარებული კომპლექსური კვლევის საფუძველზე განხორციელებულია სასარგებლო წიაღისეულის ფლოტაციის პროცესის ინტენსიფიკაციის სამეცნიერო პრობლემის თეორიული დებულებების განზოგადება, დამყარებული ინტენსიური ელექტრული ზემოქმედების გამოყენებაზე და შემუშავებულია პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელთაც სახალხო სამეურნეუო მნიშვნელობა აქვთ.

მისი ხელმძღვანელობით შემუშავებული იქნა ტყიბულის ლიპტობიოლიტური ნახშირების გამდიდრების რაციონალური სქემების დამუშავების საკითხები და ტყიბულის წყალსაცავიდან წვრილმარცვლოვანი ნახშირებისა და სამშენებლო მასალების მოპოვების ტენოლოგია, რომელსაც აგრეთვე დიდი ეკონომიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვს რეგინიონისათვის.

რევაზ სტურუა ხელმძღვანელობდა სამეცნიერო კვლევებს საქართველოს წიაღისეულ საბადოთა ბარიტშემცველი, პოლიმეტალური, თუთიის, ოქროსშემცველი მადნების და კვარციტების გამდიდრების კომბინირებული მეთოდებისა და რაციონალური ტექნოლოგიური სქემების შემუშავების მიმართულებით.

1997 წელს გერმანიაში, ქ. აახენში გამართულ მინერალური პროცესების მსოფლიო XIX კონგრესზე პროფ. რ. სტურუა მინერალური პროცესების მსოფლიო კონგრესების სამეცნიერო საორგანიზაციო მუდმივ მოქმედი კომიტეტის წევრად აირჩიეს.

სახვადასხვა დროს იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ „იზვესტია ვუზ“–ის სარედაქციო კომისიის წევრი, ჩრდილო-კავკასიის სამთო მეტალურგიული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წიაღისეულთა ფიზიკურ-ქიმიური გამდიდრების სამეცნიერო საბჭოს წევრი.

1996 წ. რ. სტურუა აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად. იგი არის რუსეთის სამთო აკადემიის ნამდვილი წევრი, რუსეთის საინჟინრო აკადემიის და ინფორმატიკის საერთაშორისო აკადემიის წევრი, აშშ-ს სამეცნიერო კვლევითი საზოგადოების პრეზიდენტი.

1988 წელს დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით, ხოლო 1998 წელს – ღირსების ორდენით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ გაითვალისწინა მისი პედაგოგიური, მეცნიერული და ორგანიზაციული საქმიანობა, დამსახურება უნივერსიტეტის მიმართ და 2011 წელს დააჯილდოვა უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი – გ. ნიკოლაძის მედლით.

ბატონი რეზო არა მარტო დიდი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, არამედ დიდი ადამიანობის განსახიარებაც იყო. იგი გამოირჩეოდა თავისი ნიჭით, ინტელექტით, თავისი ზნეკეთილობით, უბრალოებითა და თავმდაბლობით. დიდთან დიდი იყო, პატარასთან პატარა. ცხოვრებაში უამრავი სიკეთე და ქველმოქმედება აქვს გაკეთებული, ძალიან ბევრ გაჭირვებულ ადამიანს დასდგომია გვერდში .

ბატონი რეზო სტურუა უღალატო კაცი იყო, ამიტომაც, უამრავი მეგობარი ჰყავდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. არ არსებობდა სფერო, რომელშიც თავისი სიტყვა არ ეთქმოდა. განსაკუთრებით უყვარდა ქართული სუფრა, იყო კარგი თამადა, უყვარდა მოლხენა, მართალია თვითონ ვერ ან არ მღეროდა, მაგრამ დიდ სიხარულს განიცდიდა სხვის ნამღერზე, სხვის ნათქვამ ლექსზე. მართალია გვიან, მაგრამ ეწვია პოეზიის მუზაც და დიდი ნაჭდევიც დაამჩნია მის სუფთა გულს. მისი პოეტური სიყვარულის წყარო ყველა და ყველაფერი იყო, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ბატონი რეზოს სულზე: სამშობლო, ოჯახი, სატრფო, კათოლიკოს-პატრიარქი, მეგობრები, ჩვენი ყოფა-ცხოვრების ლაბირინთები, სიყრმის ქალაქი ბათუმი და ა.შ.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბატონი რეზოს გამოჩენა პოეზიის პარნასზე ტრადიციული გაგებით დაგვიანებით შედგა - იგი 70 წელს გადაცილებული იყო. ამ დროს, საზოგადოებაში იგი უკვე ცნობილი იყო როგორც მეცნიერი, სამთო საქმის დარგის დიდი პროფესიონალი, დარგობრივი სამეცნიერო აკადემიების წევრი, უმაღლესი განათლების ორგანიზატორი, არაჩვეულებრივი პედაგოგი, პროფესორი. მისი პირველი ლექსების გამოჩენა, ერთგვარად მოულოდნელიც კი იყო. თუმცა, ისიც გაცხადდა, რომ ზეგარდმო ნიჭი მის არსებობაში იმთავითვე მგზნებარებდა და მხოლოდ თქმის დროს ელოდა.

დროის თვალსაზრისით ბატონი რევაზ სტურუას პოეზია ხანგრძლიობით არ გამოირჩევა – სულ რამდენიმე წელს ითვლის, თუმცა პოეტური ძგერადობით აშკარად განსაცვიფრებელია. მან მოკლე დროში ათამდე პოეტური კრებული გამოაქვეყნა; არაერთხელ წარსდგა მკითხველის წინაშე ჩვენი სამწერლობო ჟურნალ-გაზეთებიდან. სატელევიზიო გადაცემების მეშვეობით, მოეწყო მისი პოეზიის საღამოები არა მარტო თბილისში, არამედ ბათუმში, ჭიათურაში და სხვაგან, სადაც პოეზიის მოყვარულთა დიდი მოწონება და აღიარება ჰპოვა.

რევაზ სტურუას ლექსების მოტივებზე შექმნილია სიმღერები, საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის თეატრალური სტუდიის „მოდინახეს“ მიერ დადგმულია სპექტაკლები.

რევაზ სტურუა დღეს არა მხოლოდ კარგად ცნობილი პოეტია, არამედ ის ხელოვანია, რომელსაც მისი ნიჭის დამფასებელი, მისი პოეზიის ტრფიალი აუდიტორია ჰყავს. ამიტომაც, ის ძალიან მოკლე დროში გახდა მწერალთა კავშირის ნამდვილი წევრი. ის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის პრემიით იყო დაჯილდოებული. ყველაზე დიდი ჯილდო კი იმ ხალხის სიყვარულია, ვინც მის ხსოვნას არასოდეს არ დაივიწყებს!

უფალო

უფალო, ვერ ვიდექ
მორჩილად ხატის წინ,
თუმც სული თბებოდა
მონასტრის ზარებთან,
არ მძულდა მტერი და
მიყვარდა მოყვარე
და ფეხებს ვიწმენდდი
ცხოვრების კარებთან.

გთხოვ, შემაძლებინო
სიკვდილის წინა
ბოლო წუთს, ვედრებით
თავი არ დავღუნო,
ახლობლებს, მეგობრებს
გამოვემშვიდობო,
კარები მივხურო,
არ გავიჯახუნო.

მივარბენინებ სნეულთან
წამლებს, აბებს თუ წვეთოვანს,
უფალო, შემაძლებინე,
ფეხი დავბანო კეთროვანს.
დღესაც კი ყურში უწივის
პეტრეს იმ მამლის ყივილი,
უფალო, შემაძლებინე,
მეტკინოს სხვისი ტკივილი.
თუნდაც მომტაცონ ლოცვები
და დამიტოვონ წყევლები,
ობლად არ დამრჩეს, მიშველე,
უფალო, სხვისი ცრემლები.

ავტორები:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი *გელა მაჩაიძე.*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის გამგე *იური ჯანიაშვილი.*

ტყიბულში მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია მოხდება!

მერიის დაკვეთით და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, წელს ტყიბულის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება. მათ შორის, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში, რუსთაველის, ახობაძის და გელათის ქუჩებზე 9 სახლის ფასადი მოწესრიგდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ტენდერი გამოცხადებულია და მიმდინარეობს შერჩევა-შეფასების პროცედურები. შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება მიმდინარეობს მოწამეთაში, ნაბოსლევში (ქათამაძეების უბანი), გელათში (მონასტერთან მისასვლელი ძველი გზის რეაბილიტაცია (აღდგენა)).

ახლო მომავალში, ქალაქ ტყიბულის N3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დაიწყება. შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია იგეგმება 10 მიმართულებით.

N2 საჯარო სკოლის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

ტყიბულში, აქტიურად მიმდინარეობს N2 საჯარო სკოლის მშენებლობა. 150 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება, რისთვისაც 2 534 362 ლარი იხარჯება.

პროექტის დასრულების შემდე სკოლა ახალი სასკოლო ინვენტარითა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება.

შენობაში მოეწყობა კვების ბლოკი, ექიმის კაბინეტი და ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, სკოლას ექნება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაც. აღიჭურვება თანამედროვე გათბობის სისტემით და ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. სკოლის ეზოში გაკეთდება გარე სპორტული მოედანი.

N2 საჯარო სკოლა ძველი შენობის ადგილზე შენდება, სადაც ავარიული შენობის დემონტაჟი განხორციელდა.

ტყიბულში ღია საკონფერენციო სივრცე მოეწყო

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში ტყიბულში უკვე მეორე წელია იდეების კონკურსი ცხადდება.

გასულ წელს, საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა იდეამ ,,ღია საკონფერენციო სივრცე, ყველასთვის ხელმისაწვდომი შეხვედრების ოთახი.”

შესაბამისად, მუნიციპალიტეტის თეატრში მოეწყო 30 ადამიანზე გათვლილი, თანამდეროვე სტანდარტების საკონფერნციო დარბაზი, რომლითაც სარგებლობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

საკონფერენციო სივრცე აღჭურვილია კონდიცირების სისტემით და საჭირო ტექნიკით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შეზღუდვების ეტაპობრივი შემსუბუქების გეგმა წარადგინა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ შეზღუდვების ეტაპობრივი შემსუბუქების გეგმა წარადგინა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განიხილეს არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღეს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „როგორც პარლამენტში გამოსვლისას შეზღუდვების შემსუბუქებასთან დაკავშირებით მოგახსენეთ, დღეს საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განვიხილეთ არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია და მივიღეთ შემდეგი გადაწყვეტილებები, რომელიც მინდა გავაცნო საზოგადოებას.

წარმოგიდგენთ ეკონომიკური საქმიანობის ეტაპობრივი აღდგენის გეგმას. სასტუმროები სამთო კურორტებზე გაიხსნება ხვალიდან, 25 თებერვლიდან არსებული ეპიდემიოლოგიური სტანდარტებისა და რეგულაციების სრული დაცვით; სამთო კურორტებზე არსებული საბაგიროები გაიხსნება 8 მარტიდან, ასევე ეპიდემიოლოგიური სტანდარტებისა და რეგულაციების სრული დაცვით; საქალაქთაშორისო ტრანსპორტი ამოქმედდება ხვალიდან, 25 თებერვლიდან; მუნიციპალური ტრანსპორტი შაბათ-კვირასაც იმუშავებს; რესტორნები შიდა სივრცეებში ფუნქციონირებას განაახლებენ შაბათ-კვირის გარდა ბათუმში 1 მარტიდან, ხოლო დანარჩენ საქართველოში 8 მარტიდან; ამასთან, ძალაში რჩება 21 საათიდან დილის 5 საათამდე გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა; რესტორნებს შიდა სივრცეებში მოუწევთ დადგენილი რეკომენდაციებისა და სტანდარტების ზედმიწევნით დაცვა, რაც შესაბამისი უწყებების მხრიდან მკაცრად გაკონტროლდება; კონფერენციები და ტრენინგები შესაბამისი პროტოკოლის დაცვით განახლდება 1 მარტიდან; სპორტული დარბაზები ფუნქციონირებას განაახლებენ 15 მარტიდან განსაზღვრული რეგულაციების დაცვით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, როგორც საჯარო, ისე კერძო, ფუნქციონირებას აღადგენენ 1 მარტიდან 2 კვირაში ერთხელ თანამშრომლების 20 %-ის სავალდებულო ტესტირების პირობით; უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები კლინიკური, პრაქტიკული, ლაბორატორიული საქმიანობის აღდგენას და გამოცდების არადისტანციურ ფორმატში ჩატარებას შეძლებენ 1 მარტიდან, ხოლო სასწავლო პროცესის აუდიტორიებში აღდგენას - 15 მარტიდან; სასკოლო წრეები ასევე განახლდება 15 მარტიდან; მუზეუმები და ბიბლიოთეკები საქმიანობას განაახლებენ 1 მარტიდან; თეატრები, სპორტული კლუბები, პროფესიული ანსამბლები რეპეტიციების და ვარჯიშის განახლებას შეძლებენ 15 მარტიდან, ხოლო საქმიანობის სრულად აღდგენას (თეატრალური წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები მაყურებლის დასწრებით) 1 აპრილიდან; არასასურსათო საცალო ვაჭრობა შაბათ-კვირის ჩათვლით, იგულისხმება როგორც სავაჭრო მოლები, ისე ბაზრობები, მუშაობას განაახლებენ 8 მარტიდან; საკოორდინაციო საბჭოზე ასევე მივიღეთ გადაწყვეტილება ქვეყანაში ვიზიტორების დაშვებასთან დაკავშირებული რეგულაციების შემდგომ შემსუბუქებაზე, კერძოდ იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთა მოქალაქეებს საქართველოს საჰაერო საზღვრის გავლით ქვეყანაში შემოსვლა შეუძლიათ პსრ ტესტის ნეგატიური პასუხით 1 მარტიდან ემატება შემდეგი ქვეყნები: სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი, რუსეთი, ბელარუსი. სახმელეთო საზღვრებზე ამ ეტაპზე ისევ ვინარჩუნებთ დღეს მოქმედ რეჟიმს. ეპიდემიოლოგიური ვითარების კონტროლით შეზღუდვების შემსუბუქებაზე გადაწყვეტილებები მიიღება მიმდინარე ეპიდვითარების ანალიზის საფუძველზე. მინდა იმედი გამოვთქვა, რომ მოქალაქეთა მხრიდან გამოჩენილი იქნება მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ ვითარების კონტროლს.“

„წიგნის მოყვარულთა კლუბი“

წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბავშვებისთვის „საქნახშირში“ „წიგნის მოყვარულთა კლუბი“ შეიქმნა. კლუბის წევრი შეუძლია გახდეს ყველას, ვისაც კითხვა და წიგნები უყვარს. დეა, გიორგი, თამარი, ქეთი და რეზი ჩვენი კლუბის პირველი წევრები არიან. იმედი გვაქვს, კიდევ ბევრი ბავშვი შემოგვიერთდება და ერთად ბევრ საინტერესო წიგნს განვიხილავთ. წინ საინტერესო შეხვედრები გველოდება!

დეა გიორგაძე,
ტყიბულის მეექვსე საჯარო სკოლა

“მარკ ტვენის “ტომ სოიერის თავგადასავალი” თუ არ გაქვთ წაკითხული, გირჩევთ, წაიკითხოთ. საინტერესო ამბებია ცელქ ტომზე, რომელსაც მშობლები არ ჰყავს და დეიდა ზრდის. ტომი საკუთარ შეცდომებზე ბევრ რამეს სწავლობს და მკითხველსაც ასწავლის. ყველას ვურჩევ, რომ აუცილებლად წაიკითხოთ, წინ დიდი სიამოვნება გელოდებათ.”

რეზი ჩაფიძე,
ტყიბულის პირველი საჯარო სკოლა

“ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო სამეცნიერო წიგნებია. ძალიან მიყვარს კოსმოსი, ღამით ხშირად ვაკვირდები ცას. ამიტომ ნათლიამ მაჩუქა წიგნი კოსმოსზე. სულ ვკითხულობ წიგნებს, უმეტესად კი კოსმოსსა და პლანეტებზე. ვიმახსოვრებ მათ სახელებს და მდებარეობას.”

ქეთი ბაბუხადია,
ტყიბულის პირველი საჯარო სკოლა

“ბოლოს “პეპი გრძელი წინდა” წავიკითხე და ძალიან მომეწონა. პეპი იმიტომ, რომ მოუსვენარი და მხიარულია. ახლა ტომ სოიერის თავგადასავალს ვკითხულობ. ქართველი მწერლებიდან კი ყველაზე მეტად ნოდარ დუმბაძე მიყვარს. წიგნის მოყვარულთა კლუბს სიხარულით ვუერთდები. ერთად ბევრ საინტერესო წიგნს წავიკითხავთ!”

გიორგი მიქაბერიძე,
ტყიბულის პირველი საჯარო სკოლა

“ძალიან მიყვარს გიორგი ლეონიძის “ნატვრის ხე.” ძალიან ლამაზად არის დაწერილი. არ მომწონს მარიტას როგორც მოექცნენ, არ მისცეს თავისი აზრის გამოთქმის უფლება. ეს ეპიზოდი არ მომეწონა, ისე ძალიან საინტერესო და კარგი წიგნია. ახლა “პატარა მაწანწალას” კითხვა დავიწყე. ყველას ვურჩევ, რომ რაც შეიძლება ბევრი იკითხონ. მეც ეს მიზანი მაქვს - რაც შეიძლება ბევრი საინტერესო წიგნი წავიკითხო.”

თამარ მიქაბერიძე,
ტყიბულის პირველი საჯარო სკოლა

„ბოლოს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ წავიკითე. ამ წიგნში ყველაზე მეტად ბებია მომწონს, ძალიან კეთილი და მზრუნველია. ვისაც წაკითხული არ აქვს, ვურჩევ წაიკითხოს. ასევე, ძალიან მიყვარს აკაკი წერეთელი, გიორგი ლეონიძე. ზუსტად ახლა „ნატვრის ხეს“ ვკითხულობ. წიგნების კითხვა ძალიან სახალისო და საინტერესოა.“

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე
იანვარი-თებერვალი | 2021 | №6

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, თამარ გაფრინდაშვილი.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

“საქნახშირის”
კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri